კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

E-PSY
PSYCHOLOGICAL COUNSELLING CENTERS FOR STUDENTS

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

# ფსიქიკური ჯანმრთელობის ევროპული კვირეული 22-28 მაისი

## ფსიქიკური ჯანმრთელობის კვირეულის თემაა - ფსიქიკურად ჯანმრთელი თემები (MENTALLY HEALTHY COMMUNITIES)[1]

ფსიქიკური ჯანმრთელობა წარმატებული საზოგადოებების არსებობის უნივერსალური და აუცილებელი წინაპირობაა. ფსიქიკური ჯანმრთელობის ევროპული კვირეულის წლევანდელი თემაა - ფსიქიკურად ჯანმრთელი თემები. ცნობიერების ამაღლების წლევანდელი კამპანია მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაზრდას ჩვენსავე თემებში - სკოლებში, სამუშაო ადგილებზე და სახლში, რათა ადამიანმა ცხოვრების ყველა ეტაპზე შეძლოს განვითარება.[2]

## კვირეულის გეგმა კავკასიის უნივერსიტეტში

- 22 მაისს, 13:00 საათზე კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები, მაია მაჭავარიანი-წერეთელი, ერეკლე იმედაშვილი და ნანა ხარაბაძე შეხვედრას გამართავენ სკოლა „აიბი მთიების“ მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებთან. შეხვედრის თემაა: **„ფსიქიკური ჯანმრთელობა სკოლაში. სწავლასთან დაკავშირებული სტრესი“**. შეხვედრა წარიმართება დისკუსიის ფორმატში.

- 23 მაისს, 13:00 საათზე კავკასიის უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში „ლიბრარეა“ ჩატარდება საჯარო ლექცია თემაზე **„მუსიკათერაპია და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა“**. ლექციას წაიკითხავს მუსიკათერაპევტი, ფსიქოთერაპევტი, მარინა რაიდტ-ალთუნაშვილი. ლექციაზე დასწრება თავისუფალია.

- 24 მაისს, 16:00 საათზე კავკასიის უნივერსიტეტის წიგნის მაღაზიაში „ლიბრარეა“ ჩატარდება საჯარო ლექცია თემაზე **„საზრისზე ორიენტირებული ცხოვრება, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის საწინდარი (ვიქტორ ფრანკლის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე)“**. ლექციას წარუძღვება ფსიქოლოგი, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ლოგოთერაპევტი, ლოგოთერაპიისა და ეგზისტენციალური ანალიზის ასოციაციის პრეზიდენტი (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა) ნინო ბერძნიშვილი. ლექციაზე დასწრება თავისუფალია.

- 27 მაისს, 11:00 საათზე კავკასიის უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში გაიხსნება სტუდენტური ფოტოგამოფენა - **„ნამდვილი მე საზოგადოებაში“**. ფოტოგამოფენას გახსნის კავკასიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის ფსიქოლოგი, ფოტოთერაპევტი ანანო გუნია, რომელიც დისკუსიას გაუძღვება და ნამუშევრებს განიხილავს ფოტოთერაპიის ჭრილში. დისკუსიაში ჩართვას ასევე შეძლებენ ფოტონამუშევრების ავტორები.

---

[1]წყარო: **https://www.mhe-sme.org/emhw/**
[2]წყარო: **https://www.mhe-sme.org/emhw/**